დანართი 2

## საბაზო და საშუალო საფეხურების სასკოლო სახელმძღვანელოს მაკეტის რეცენზირების ტექნიკური კრიტერიუმები

(მოსწავლის წიგნისა და მოსწავლის რვეულისათვის)

| | მოთხოვნა 1. გამოცემის ფორმატი | ამაყოფილებს/არ აკმაყოფილებს | დასაბუთება | მითითება | ტექნიკური კორექტურის ვადა |
|---|---|---|---|---|---|
| 1.1 | მოსწავლის წიგნისთვის - გამოცემის სტანდარტიზებული ფორმატი:<br>VII-IX კლ. - B5 (160X230მმ) ან A4 (195X275მმ);<br>X-XII კლ. - A5 (145X200მმ) ან B5 (160X230მმ) ან A4 (195X275მმ). | | | | |
| 1.2 | მოსწავლის რვეულისთვის - გამოცემის სტანდარტიზებული ფორმატი: A5 (145X200მმ) ან B5 (160X230მმ) ან A4 (195X275მმ). | | | | |
| 1.3 | ორიენტაცია ვერტიკალური. | | | | |

| | მოთხოვნა 2. ტექსტის აღქმის ხარისხი | ამაყოფილებს/არ აკმაყოფილებს | დასაბუთება | მითითება | ტექნიკური კორექტურის ვადა |
|---|---|---|---|---|---|
| 2.1 | ძირითადი ტექსტის[1] სტრიქონის ზომა ყველა სახის ფორმატისთვის:<br>VII-IX კლ. - 72 მმ-დან 153 მმ-მდე;<br>X-XII კლ. - 63 მმ-დან 153 მმ-მდე. | | | | |
| 2.2 | შიდა მინდვრის მინიმალური ზომა გვერდზე - 20მმ.<br>(გარდა ჭრამდე გასული ილუსტრაციების შემთხვევისა). | | | | |
| 2.3 | ზედა, ქვედა და გარე მინდვრების მინიმალური ზომა გვერდზე - 10 მმ. (გარდა ჭრამდე გასული ილუსტრაციების შემთხვევისა). | | | | |

[1] *ძირითადი ტექსტი - წინამდებარე ფორმისათვის: ტექსტის ნაწილი, რომელშიც სასწავლო გამოცემის მთავარი შინაარსია გადმოცემული.*

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 2.4 | ყველა ტიპის წიგნებსა და რვეულებში ილუსტრაციების რაოდენობა არანაკლებ დაკაბადონებული ფართის 15%-ისა. | | | | |

| | მოთხოვნა 3. შრიფტის ზომა | ამაყოფილებს/არ აკმაყოფილებს | დასაბუთება | მითითება | ტექნიკური კორექტურის ვადა |
|---|---|---|---|---|---|
| 3.1 | შრიფტის ზომა ძირითადი ტექსტისთვის:<br>VII-IX კლ. - 9-11 პუნქტი;<br>X-XII კლ. - 8-10 პუნქტი. | | | | |
| 3.2 | შრიფტის ზომა არაძირითადი და დამატებითი ტექსტებისთვის:<br>VII-IX კლ. - 8-10 პუნქტი;<br>X-XII კლ. - 7-9 პუნქტი. | | | | |

| | მოთხოვნა 4. ინტერლინიაჟის[2] ზომა (ძირითადი ტექსტებისთვის) | ამაყოფილებს/არ აკმაყოფილებს | დასაბუთება | მითითება | ტექნიკური კორექტურის ვადა |
|---|---|---|---|---|---|
| 4.1 | ინტერლინიაჟის ზომა ავტომატური, გამოყენებული შრიფტის მიხედვით. შესაძლებელია ინტერლინიაჟის გაზრდა 2-4 პუნქტით. | | | | |

| | მოთხოვნა 5. ტექსტების სვეტებად განაწილება | ამაყოფილებს/არ აკმაყოფილებს | დასაბუთება | მითითება | ტექნიკური კორექტურის ვადა |
|---|---|---|---|---|---|
| 5.1 | დასაშვებია ორსვეტიანი წყობა ძირითადი და დამატებითი ტექსტისათვის. მაგალითებისა და ამოცანებისათვის დასაშვებია მრავალსვეტიანი წყობა, სვეტებს შორის მანძილით არანაკლებ 9მმ, ფერადი ფონის გამოყენებითა და/ან გამყოფი ხაზით[3] არანაკლებ 6მმ. სვეტებს შორის მანძილი ერთი დავალების ფარგლებში ერთნაირი უნდა იყოს. | | | | |

| | მოთხოვნა 6. სიტყვებს შორის მანძილი | ამაყოფილებს/არ აკმაყოფილებს | დასაბუთება | მითითება | ტექნიკური კორექტურის ვადა |
|---|---|---|---|---|---|
| 6.1 | სიტყვებს შორის მანძილი ავტომატურია. | | | | |

[2] *სტრიქონთშორისი ხარვეზი, ერთმანეთს მიყოლებულ ორ მეზობელ სტრიქონში შრიფტის ქვედა და ზედა ხაზებს შორის მანძილი.*

[3] *სიმეტრიული ვერტიკალური ცენტრი.*

| | მოთხოვნა 7. გამოსაყენებელი შრიფტი | ამაყოფილებს/არ აკმაყოფილებს | დასაბუთება | მითითება | ტექნიკური კორექტურის ვადა |
|---|---|---|---|---|---|
| 7.1 | სტამბური შრიფტები: ვენური (ჩვეულებრივი), კოლხეთი, მკაფიო. BPG: DejaVu Sans, ნათელი, მრგვლოვანი. | | | | |
| 7.2 | ლათინური ასოების, ციფრების, მათემატიკური, ფიზიკური, ქიმიური გამოსახულებებისთვის დასაშვებია, შრიფტების: არიალისა და ჰელვეტიკის გამოყენება. | | | | |
| 7.3 | მათემატიკურ, ფიზიკურ ან ქიმიურ გამოსახულებებში, სიმბოლოები, ციფრები და ინდექსები იწერება ინტერვალების გარეშე, ხოლო თვით გამოსახულებებს შორის აუცილებელია ინტერვალის გამოყენება. | | | | |
| 7.4 | დაუშვებელია[4] მხატვრული და მთავრული შრიფტების გამოყენება:<br>VII-IX კლ. - ძირითად, დამატებით და ილუსტრაციების ტექსტებში;<br>X-XII კლ. - ძირითად ტექსტში. | | | | |
| 7.5 | ძირითად ტექსტსა და გამოყოფილ ნაწილებში (სათაურების გარდა) რეკომენდებულია გამოყენებულ იქნას:<br>VII-IX კლ. - შრიფტის არაუმეტეს 2 ვარიანტისა, რომლებიც ერთ-ერთი პარამეტრით განსხვავდებიან. მაგალითად: კეგელით, გარნიტურით[5], მოხაზულობით[6];<br>X-XII კლ. - შრიფტის არაუმეტეს 1 ვარიანტისა. | | | | |
| 7.6 | დაუშვებელია არასწორკიდეებიანი შრიფტების გამოყენება. | | | | |

[4] *ქვეპუნქტი არ ეხება სათაურებს, ქვესათაურებს (ნებისმიერი ტიპის).*
[5] *შრიფტების კომპლექტი, რომელთაც ახასიათებთ ასოების მოხაზვის ერთნაირი სტილი. თითოეული გარნიტურის შრიფტი განსხვავდება მოხაზულობით და ზომით (კეგელი).*
[6] *ერთი გარნიტურის ნიშნების კომპლექტი, რომელიც განსხვავდება: ა) ნიშნების სისქით, ბ) ნიშნების დახრილობით.*

| | მოთხოვნა 8. შრიფტის ფერი | ამაყოფილებს/არ აკმაყოფილებს | დასაბუთება | მითითება | ტექნიკური კორექტურის ვადა |
|---|---|---|---|---|---|
| 8.1 | დაუშვებელია ძირითადი და დამატებითი ტექსტის ზეჭდვისას შრიფტის გამოკვეთა ფერადი საღებავებით, თუ ეს არ არის მეთოდიკის ნაწილი. | | | | |
| 8.2 | დაუშვებელია ტექსტის გამოყოფის მიზნით შრიფტის გამოკვეთა ფერადი საღებავებით ფერად ფონზე. | | | | |
| 8.3 | დაუშვებელია ფერადი საღებავები ფერად ფონზე თვალსაჩინოებებში (გრაფიკი, სქემა, ცხრილი, დიაგრამა და სხვა). | | | | |

| | მოთხოვნა 9. კარტოგრაფიული წარწერები | ამაყოფილებს/არ აკმაყოფილებს | დასაბუთება | მითითება | ტექნიკური კორექტურის ვადა |
|---|---|---|---|---|---|
| 9.1 | კარტოგრაფიული წარწერებისათვის რეკომენდებულია გამოყენებული იქნეს შრიფტი -კეგელით: 7-9. | | | | |

| | მოთხოვნა 10. ილუსტრაციის ტექსტი | ამაყოფილებს/არ აკმაყოფილებს | დასაბუთება | მითითება | ტექნიკური კორექტურის ვადა |
|---|---|---|---|---|---|
| 10.1 | ილუსტრაციის მარჯვნივ მოთავსებული ტექსტის სტრიქონის დასაწყისი (სათაურებისა და აბზაცების გარდა) ვერტიკალურ ხაზზე უნდა მდებარეობდეს. | | | | |

*შენიშვნა: წინამდებარე მოთხოვნები საერთოა VII-XII კლასების სახელმძღვანელოს მაკეტისათვის, ასევე, როგორც მოსწავლის წიგნისათვის, ისე რვეულისათვის, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოთხოვნა პირდაპირ მიუთითებს რომელიმე მათგანზე (კონკრეტულ კლასებზე, მოსწავლის წიგნზე, მოსწავლის რვეულზე).*